


# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№6 (37) 2014


## თსუ-ს მიგრაციის მართვისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში მორიგი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს

***2014 წლის 26 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ეროვნულ კონფერენციას თემაზე: „მიგრაცია და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი): თანამედროვე სამართლებრივი სტანდარტები“.***



კონფერენცია მიზნად ისახავდა, ხელი შეეწყო და წაეხალისებინა მიგრაციისა და ტრეფიკინგის საკითხებზე აკადემიური დიალოგის წარმართვა და მისი შემდგომი განვითარება; სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინათ საკუთარი ნამუშევრები, გამოეხატათ საკუთარი პოზიცია და მომხდარიყო აზრთა გაცვლა, გამართულიყო დისკუსია ამ სფეროს სხვა წარმომადგენლებთან. კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენლები. კონფერენციას უძღვებოდა პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, რომელიც ინიციატორია უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ისეთი უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული კურსების შემოღებისა, როგორებიცაა: ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი, მიგრაციის აქტუალური პრობლემები და ევროკავშირის სტანდარტები და ამასთან, დიდი წვლილი მიუძღვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის განვითარებაში, იგი არის ტრეფიკინგის

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## ინიციატივა სტუდენტების დასაქმების ხელშესაწყობად — კარიერული განვითარების ცენტრი თსუ-ში

***უმაღლესი სასწავლებლების მთავარი ფინქციაა ადამიანს მისცეს ისეთი განათლება, რომელიც მას შემდგომში დასაქმებასა და კარიერულ წინსვლაში დაეხმარება. კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი რომ იყოს, დასავლეთის წამყვანი უნივერისტეტები სწავლის პროცესშივე ამზადებენ სტუდენტებს კარიერული განვითარების უნარ-ჩვევებში, რისთვისაც სპეციალური სამსახურები მუშაობს. განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, გასული წლის დეკემბერში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კარიერული განვითარების ცენტრი შეიქმნა, რომელმაც 2014 წლის მარტიდან ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება.***

თსუ-ს კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ხელმძღვანელია ხათუნა ცხადაძე, ტემპუსის პროექტის ფარგლებში ამოქმედდა. პროექტის ხელმძღვანელია ვილნიუსის უნივერსიტეტი და მასში ჩართულია საქართველოს შვიდი უნივერიტეტი — თსუ, საქართველოს უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ახალციხის, ზუგდიდის, თელავის და ბათუმის უნივერისტეტები. ამ პროექტის მიზანია სტუდენტებისთვის კარიერული მომსახურების სერვისის განვითარება.

„მართალია, კარიერული განვითარების ცენტრი ტემპუსის პროექტის რეკომენდაციით გაიხსნა, მაგრამ ამგვარი სამსახურის გახსნა თსუ-ში ისედაც მოიაზრებოდა, რადგან იგი ძალიან მნიშვნელოვანი და პრესტიჟულია უნივერსიტეტისთვის. ცენტრის ფუნქციაა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის ხელის შეწყობა. ხშირად სტუდენტები ამას არასწორად აღიქვამენ. ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ ეს არის სამსახური, სადაც შევა და მაშინვე დასაქმდება. ჩვენ არავის არაფერს ვპირდებით, რადგან დამოკიდებულები ვართ შრომის ბაზრის მოთხოვნაზე. ცენტრი აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას, იყვნენ უფრო მეტად კონკურენტუნარიანები, რაც დასაქმების უფრო მეტ შანსს აძლევთ. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი არის კარგი პროფესიონალი, მაგრამ არ შეუძლია საკუთარი თავის პრეზენტაცია, ან სწორად ვერ აწვდის დამსაქმებელს ინფორმაციას, სწორედ ამ პრობლემების დაძლევაში ეხმარება მათ ჩვენი ცენტრი“, — აცხადებს ხათუნა ცხადაძე.

თსუ-ს კარიერული განვითარების ცენტრის ფუნქციაა დაეხმაროს სტუდენტს ზოგადი უნარების, თვითპრეზენტაციის, შრომით ბაზარზე პრაქტიკული და თეორიული ცოდნის განვითარებაში. აჩვენოს მას დასაქმების რა პერსპექტივებია საქართველოში, როგორ უნდა ეძიოს სამუშაო, რა გზები არსებობს კარიერულ განვითარებაში, რაც არა მხოლოდ დასაქმებას, არამედ საკუთრი განათლების შემდგომი ეტაპების სწორად წარმართვას გულისხმობს.

„საქართველოში ხშირად სტუდენტები უმაღლეს სასწავლებლებში სპონტანურად აბარებენ, ოჯახის წევრების გავლენით, ან არჩევანის სისტემით ხვდებიან იქ, სადაც ნაკლებად სურთ. ამიტომ ასეთი სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიულ თვითგამორკვევაში დახმარება. რა უნდათ ზუსტად და რა მიდრეკილება აქვთ? ღრმა ფსიქოლოგიურ ტესტებზე არ გვაქვს საუბარი, ეს ცენტრის ფუნქცია არ არის. ჩვენი მიზანია, მათი ინფორმირება, რჩევა, კონსულტირება და, რა თქმა უნდა, უმთავრესი კომპონენტია დამსაქმებელთან მათი დაკავშირება და ა.შ.“, — განმარტავს ცენტრის ხელმძღვანელი.

იმისათვის, რომ თსუ-ს სტუდენტი კონკურენტუნარიანი გახდეს შრომის ბაზარზე, კარიერული განვითარების ცენტრი სპეციალური ტრენინგების კურსს ატარებს, რომელიც დაახლოებით 4 საათს გრძელდება. ნებისმიერ სტუდენტს საკუთარი სურვილით, შეუძლია აირჩი-

*გაგრძელება მე-3 გვ.*

## საერთაშორისო თანამშრომლობა მედიცინის ფაკულტეტზე



***თსუ მედიცინის ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სხვა ფაკულტეტების მსგავსად, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებსა და კლინიკებთან. ცოტა ხნის წინ უცხოელ პარტნიორთა რიცხვს მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკაც შეემატა. ეს კლინიკა ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, ღვიძლის, სანაღვლე გზების, პანკრეასის და ენდოკრინული ორგანოების და აშ. სპეციალიზირებული ცენტრია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპაში. ახალი პარტნიორის პროექტში “კლინიკურ-აკადემიური თანამშრომლობა” ჩართული არიან ასევე რუსეთის ფედერაციის, ბელორუსის, უკრაინის უმაღლესი სასწავლებლები. საქართველოს მხრიდან მასში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობენ.***

*გაგრძელება მე-3 გვ.*

## თვითმმართველობის არჩევნები



თსუ-ში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები დასრულდა. თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ცესკოს შემაჯამებელი ოქმის მონაცემებით, 141 კანდიდადიტან აირჩა 120 დელეგატი.

თსუ 20 ათასი სტუდენტიდან არჩევნებში 5 ათასზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა

**გვ. 4**

## „თაობა-L“ – ახალი პროექტი სტუდენტებისთვის



შემეცნებით-ლიტერატურული კონკურსის „თაობა L“-ის გამარჯვებული თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ანანო ასპანიძე გახდა, რომელმაც გამომცემლობა პალიტრა L-ის ფულადი პრემია – 1000 ლარი აირჩია. კონკურსის სერტიფიკატი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გამომცემლობის სპეციალური პრიზები პროექტის ყველა ფინალისტს გადაეცა. შემეცნებითი პროექტი უნივერსიტეტის სტუდენტისათვის 10 მარტს დაიწყო და ორი თვის განმავლობაში ტარდებოდა. პროექტში 400-მდე სტუდენტი ჩაერთო, კონკურსანტები 4-5 დღის ინტერვალით პროექტისათვის შერჩეულ წიგნებს კითხულობდნენ და შემდეგ მათთვის მომზადებულ ტესტებს წერდნენ.

**გვ. 4**

## 20 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო – თსუ ათლეტიზმის გუნდისგან



**გვ. 4**

## სიახლეები

### *შეხვედრა პროგრამის „4+1“ მონაწილე სტუდენტებთან*



19 მაისს სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი უნივერსიტეტში ჩარიცხული „4+1“ პროგრამის ბენეფიციარი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს შეხვდნენ. შეგახსენებთ, რომ პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს მშობლიურ ენაზე ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდა და შემდეგ ერთი წლის განმავლობაში შეისწავლონ ქართული ენა.

ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა დაესწრო. შეხვედრაზე თამაზ მარსაგიშვილმა და ქეთევან ციხელაშვილმა სტუდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მნიშვნელობის შესახებ, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების მნიშვნელობაზე განათლების სფეროში. შედგა კლიპის პრეზენტაცია ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

### *„ომი ქალის მეხსიერებაში“ – ქართველი და ოსი ქალების ზეპირი ისტორიები*

16 მაისს სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ნინო პოპიაშვილის წიგნის “ ომი ქალის მეხსიერებაში (ქართველი და ოსი ქალების ზეპირი ისტორიები)” პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნში შესულია ფონდ “ღია საზოგადოება – საქართველოს” ქალთა პროგრამის მიერ 2003 წელს გამოცხადებული კონკურსის პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევა და ჩაწერილი ქართველი და ოსი ქალების ზეპირი ისტორიები. წიგნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის შესწავლით დაინტერესებული მკითხველებისათვის, ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევარებისთვის, კონფლიქტოლოგებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ექსპერტებისთვის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, სამთავრობო სტრუქტურებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

### *“საერთაშორისო ბიზნეს სამართალი“ პრეზენტაცია*



ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციამ და თსუ იურიდიულმა ფაკულტეტმა გერმანული უნივერსიტეტის, შტეინბეის-SIBE-ის. პროგრამის – “საერთაშორისო ბიზნეს-სამართალი“ პრეზენტაცია გამართეს. სამაგისტრო პროგრამა საქართველოში ევროპული განათლებისა და გერმანული უნივერსიტეტის დიპლომის მიღების უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

### *ჟურნალის „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველის“ პრეზენტაცია*

16 მაისს თსუ-ში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საერთაშორისო ჟურნალის „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველის“ 2, 2012 წ. პრეზენტაცია გაიმართა.

ასევე გაიმართა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ანთიმოზ ივერიელი ქართულ-ევროპული დიალოგის“ (FR/454/2-170/13) პრეზენტაცია (სამეცნიერო ხელმძღვანელი ანასტასია ზაქარიაძე, ძირითადი პერსონალი: დემურ ჯალაღონია, ვალერიან რამიშვილი, ირაკლი ბრაჭული, დეკანოზი ალექსი ქშუტაშვილი). ჟურნალის პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღეს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, საერთაშორისო ჟურნალის „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველის“ სარედაქციო საბჭოს უცხოელმა წევრებმა: კონსტანცის „ოვიდიუსის'' უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკოლაუ დურამ (რუმინეთი) და ბუქარესტის ყოვლადწმინდა ანთიმოზ ივერიელის მონასტრის წინამძღვარმა იღუმენი მიჰაილიმ (სტანჩიუ).

### *განათლების საერთაშორისო ცენტრის ღია კარის დღე*

15 მაისს საგამოფენო ცენტრ ექსპო-ჯორჯიაში განათლების საერთაშორისო ცენტრის ღია კარის დღე გაიხსნა. სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ დეტალურ ინფორმაცია განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამებში ჩართვის შესახებ და გაევლოთ კონსულტაცია ცენტრის ტუტორებთან. განათლების საერთაშორისო ცენტრი პრემიერ-მინისტრის ინოვაციური პროექტების ფარგლებში დაარსდა. ცენტრის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მომზადება. დღესვე ღონისძიების ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსა და უნივერსიტეტებს შორის.

# ინიციატივა სტუდენტების დასაქმების ხელშესაწყობად – კარიერული განვითარების ცენტრი თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

ოს მიმართულება, თუ რა კუთხით სურს ცოდნის ამაღლება – ეს იქნება თვითპრეზენტაციის უნარი, ინტერვიუები, CV-ის, სამოტივაციო წერილის დაწერა, ზოგადად სამუშაოს ძიების მექანიზმები და ა.შ. და მიიღოს თეორიული განათლება. როგორც ხათუნა ცხადაძე აცხადებს, თუ ცენტრი საჭიროდ მიიჩნევს სპეციფიური ტრენინგის ჩატარებას და ამის ფინანსური საშუალებაც იქნება, არ არის გამორიცხული, შესაბამისი დარგის სპეციალისტის მოწვევაც, რომელიც ჩაატარებს სპეცკურსს.

ამასთან, ცენტრს აქვს კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული ბიბლიოთეკა. წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილი თსუ-ს ვილნიუსის უნივერსიტეტმა გადმოსცა. ეს ლიტერატურა ძირითდად ინგლისურენოვანია, მაგრამ იგეგმება მათი ქართულ ენაზე თარგმნაც.

რაც შეეხება დამსაქმებელის და სტუდენტის დაკავშირებას – ხათუნა ცხადაძის განმარტებით, ცენტრს უკვე გააჩნია დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა და რეგულარული კავშირი აქვს ამა თუ იმ ბიზნესის კადრების მენეჯერებთან. სწორედ ისინი აწვდიან ინფორმაციას, თუ რა ვაკანსიები გააჩნიათ და რომელი პროფესიის სტუდენტების დასაქმება იქნება მათთვის სასურველი.

„საქართველოში ძირითადი დამსაქმებელი საჯარო სექტორია, მაგრამ იქ გარკვეული რეგულაციები არსებობს, რომელიც სტუდენტის დასაქმებას ფაქტობრივად გამორიცხავს. ამიტომ ჩვენი ძირითადი პარტნიორი კერძო სექტორია. უფრო აქტიური კი საბანკო – საფინანსო, სადაზღვევო კომპანიები არიან, რომლებიც თვითონაც არიან დაინტერესებულები, რომ გამოცხადებულ ვაკანსიაზე ზუსტად იმ პროფესიის ადამიანის განცხადება შევიდეს, რისი მოთხოვნაც აქვთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თსუ რეკომენდაციას აძლევს სტუდენტს დამსაქმებელთან, ჩვენ ვაკანსიის შესახებ ინფორმაციას ვაწვდით ერთის მხრივ სტუდენტთა კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფს და მეორეს მხრივ – დამსაქმებელს“, – ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი.

იმისათვის, რომ სტუდენტების და დამსაქმებლების შეხვედრა უფრო მობილური და ეფექტური იყოს, კარიერული განვითარების ცენტრი პერიოდულად ფაკულტეტების მიხედვით აწყობს ფორუმს, სადაც დამსაქმებლების და სტუდენტები ხვდებიან ერთმანეთს. ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს ასევე ფეისბუკის, იმეილის და, თუ საჭიროა, SMS-ის საშუალებითაც სისტემატურად მიეწოდება.

კარიერული განვითარების ცენტრის მომსახურებით თსუ-ს ნებისმიერი კურსის სტუდენტს შეუძია ისარგებლოს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი სულ ცოტა ხანია რაც ფუნქციონირებს, სტუდენტების დაინტერესება უკვე საკმაოდ მაღალია. ამჟამად თსუ-ში კარიერული განვითარების საკითხებზე, ტემპუსის პროექტის ფარგლებში, ტარდება საპილოტო კურსი, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო 60 სტუდენტს. თუმცა, როგორც ხათუნა ცხადაძე აღნიშნავს, დაინტერესებულ სტუდენტთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ საბოლოოდ ოთხი ჯგუფი შეიქმნა: თითო-თითო – ეკონომიკის, ბიზნესის და იურიდიულ მიმართულებებზე, ხოლო ორი ჯგუფი – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პილოტური პროგრამა ივნისის დასაწყისამდე გაგრძელდება და სტუდენტები 15 სალექციო კურსს მოისმენენ 15 თემაზე, რომელიც კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ყველა საკვანძო საკითხს შეეხება.

„კარიერული განვითარებისადმი სტუდენტების ასეთი დაინტერესება იმას ნიშნავს, რომ წლების განმავლობაში საქართველოში დანერგილი ტრადიცია, თითქოს სამსახურის ძებნა უმაღლესი განათლების დასრულების შემდეგ უნდა დაიწყო, თანდათან ინგრევა და ეს უკვე კარგია. სტუდენტები თანხმდებიან დაბალ ანაზღაურებად სამსახურზე ან სრულიად უხელფასოდ იწყებენ მუშაობას, იმისათვის, რომ ჰქონდეთ შრომითი გამოცდილება. დასაქმების თვალსაზრისით ასეთი სტუდენტი შრომით ბაზარზე უკვე კონკურენტუნარიანია და კარიერული განვითარების თვალსაზრისითაც უფრო სწორად იაზრებს საკუთარ მომავალს.“ – ამბობს ხათუნა ცხადაძე.

როგორც ცენტრის ხელმძღვანელი აღნიშნავს, კარიერიული განვითარების ცენტრის არსებობა დღევანდელ კონკურენტულ გარემოში თსუ-სთვის მნიშვნელოვანია არა მარტო კომერციული თვალსაზრისით, არამედ დამსაქმებლებთან ურთიერთობა უნივერსიტეტს დაეხმარება სასწავლო პროგრამების განვითარებაშიც.

„უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, ამიტომ, შესაძლებელია, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, თსუ-ში ისწავლებლოდეს არა მხოლოდ ტრადიციული საგნები, არამედ დაინერგოს ახალი პროგრამები, რაც მას უფრო მოთხოვნადს გახდის. კარიერული განვითარების ცენტრი კი ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რადგან ბაზრის მოთხოვნის ანალიზი სწორედ ჩვენი ფუნქციაა“, – აცხადებს ხათუნა ცხადაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ მომავალში ცენტრის მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მობილური გახდება. სტუდენტები კი კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხებს რეგულარულად მიიღებენ წინასწარ დათქმულ დღეს, ორი საათის განმავლობაში. ეს ფუნქცია ცენტრში სექტემბრიდან ამოქმედდება და ამის შესახებ სტუდენტები ცენტრის ფეისბუკის გვერდის მეშვეობით შეიტყობენ.

# საერთაშორისო თანამშრომლობა მედიცინის ფაკულტეტზე

*პირველი გვერდიდან*

პროექტით გათვალისწინებული პარტნიორობა სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. 2014 წლის დასაწყისში თსუ-სა და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მედიცინის ფაკულტეტსა და აღნიშნულ კლინიკას შორის თებერვალში ერთობლივი ტელეკონფერენციები და ლექციები დაიწყო. გერმანიის მხრიდან პროექტის კურატორის ედუარდ მათევოსიანის თბილისში ვიზიტისას დაიგეგმა ასევე ერთობლივი კვლევითი პროგრამების, სემინარების ჩატარება.

„აპრილ-მაისში ჩატარდა ოთხი ტელე-კონფერენცია ტრანსპლანტოლოგიის, ტრავმატოლოგია-ორთოპედიის, გადაუდებელი ქირურგიის და ონკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ივნისში კი დაგეგმილია 2 ტელელექცია უროლოგიასა და რადიოლოგიაში. მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში 5-6 მაისს სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკის, სხივური თერაპიისა და ონკორადიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ მიხალე მოლსი და გერმანიის მხრიდან აღნიშნული პროექტის კოორდინატორი, ტრანსპლანტაციური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ედუარდ მათევოსიანი”. – აცხადებს პროექტის კურატორი თსუ-ს მხრიდან, მედიცინის ფაკულტეტის ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ლობჟანიძე.

გერმანული მხარის თქმით, თანამშრომლობის ძირითადი მიზანი სამედიცინო სფეროს სხვადასხვა მიმართულების ექიმთა და სტუდენტთა პროფესიული დონის ამაღლებაა. გარდა ამისა, სამედიცინო გამოცემებში ერთობლივი პუბლიკაციების გამოქვეყნება და კლინიკური სემინარების ჩატარებაც იგეგმება.

„ამ ინიციატივაში ჩართული ჩემი კოლეგებიც და მეც ვთვლით, რომ ჩვენ თანასწორუფლებიანი პარტნიორები ვართ. ჩვენც და თსუ-საც გვაქვს ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ ჩავატაროთ ტელეკონფერენციები. გარდა ამისა, საუბარია პრაქტიკაზე, როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში. ეს არ არის პროექტი, რომელსაც ფორმალური ხასიათი ექნება. ეს არის პროექტი, რომელიც რეალურ შედეგს მოიტანს, და თუნდაც სტუდენტებს, ასე ვთქვათ, გაუკვალავი გზების გაკვალვა არ დასჭირდებათ“ – განაცხადა ჩვენთან საუბარში ედუარდ მათევოსიანმა.

მაისში თანამშრომლობის შემდგომი დეტალების დასაზუსტებლად ჩამოსულ გერმანელ პარტნიორებს შეხვედრა ჰქონდათ თსუ ადმინისტრაციის პირებთან, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილესთან სამეცნიერო დარგში პროფ. მერაბ ელიაშვილთან. ჩატარდა ასევე ორი ლექცია თსუ-ის წარმომადგენლებისთვის.

პროექტის შესაბამისად, პარტნიორ კლინიკებში პრაქტიკაგავლილი სტუდენტები და ექიმები უმოკლეს პერიოდში ადაპტირდებიან დასავლეთ-ევროპული კლინიკების მოთხოვნებთან და სტანდარტებთან; ამავე დროს, მშობლიურ უმაღლეს სასწავლებლებთან აკადემიური და კლინიკური კავშირების გაღრმავებაში დაეხმარებიან მათ.

მეორე პროექტი, რომელიც თსუ მედიცის ფაკულტეტზე მიმდინარეობს, „სადოქტორო პროგრამები ჯანდაცვაში: სწავლების მესამე ციკლის ნორვეგიული გამოცდილება საქართველოსთვის'' გახლავთ. იგი 2012 წლიდან ხორციელდება განათლებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიის საერთაშორისო ცენტრის დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში, ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობებს შორის არის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ვიზიტი და სამუშაო შეხვედრები ტრომსოს უნივერსიტეტშიც; გარდა ამისა – თსუ დოქტორანტების მონაწილეობა ნორვეგიელი პროფესორების მიერ ჩატარებულ სასწავლო კურსებსა და კონფერენციებში როგორც ნორვეგიაში, ისე საქართველოში.

27 აპრილიდან 3 მაისამდე პროექტის მონაწილეები (თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე, ხარისხის სამსახურის უფროსი ნინო ჩიხლაძე, ნატო ფიცხელაური და დოქტორანტები) ნორვეგიაში შუალედურ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფებოდნენ. როგორც პროფესორი ნინო ჩიხლაძე აცხადებს, კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს თსუ მედიცინის ფაკულტეტის ნორვეგიულ პროგრამაში ჩართულმა დოქტორანტებმა, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს ნორვეგიელების მიერ შემოთავაზებული კურსი: გიორგი ლობჟანიძემ, მარიკა ბალახაძემ, თამარ ჭოჭუამ და თამარ ჯაფარიძემ. თსუ-ის წარმომადგენელთა ვიზიტისას შედგა საქმიანი შეხვედრები პროექტის მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლებს შორის, რომელზეც შეჯამდა პროექტის ფარგლებში ერთობლივი მუშაობის შედეგები და დაისახა თანამშრომლობის პერსპექტივები. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა საქართველოში ნორვეგიელი პროფესორების მორიგი ვიზიტი, რომლის დროსაც ქართველ დოქტორანტებს საშუალება მიეცემათ მოისმინონ სასწავლო კურსი კლინიკურ ეპიდემიოლოგიაში.

# თსუ-ს მიგრაციის მართვისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში მორიგი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს

პირველი გვერდიდან

მსხვერპლთა გაეროს ნდობის ფონდის ახალი საბჭოს ერთ-ერთი წევრი. ეროვნულ კონფერენციაზე ქეთევან ხუციშვილმა ხაზი გაუსვა მიგრაციისა და ტრეფიკინგის მნიშვნელობას და ისაუბრა აღნიშნული პროცესების განვითარებაზე, განსაკუთრებით, სახელმწიფო და აკადემიურ სექტორს შორის თანამშრომლობაზე და ამ კუთხით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლზე.

უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენენ სტუდენტები განსახილველი საკითხის მიმართ, ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის დიდ როლს ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში არა მხოლოდ თეორიულად არამედ პრაქტიკულად.

მინისტრმა გაამახვილა ყურადღება უნივერსიტეტისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობის კარგ გამოყენებაზე და ნაყოფიერებაზე, რაც უფრო გაღრმავდება მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ.

დღეს მსოფლიოში მიგრაციის მართვის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გამოწვევად იქცა და მულტიდისციპლინური განზომილებებით, და მრავალი მონაწილის ჩართულობით. ქართულ რეალობაში მიგრაციის მართვა დამატებით მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური დიალოგის ფორმატში. ამ ფონზე აუცილებელია აღინიშნოს, რომ აკადემიური წრე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ პროცესში. უფრო კონკრეტულად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მყარი საგანმანათლებლო ბაზის შექმნას და სტუდენტებს სთავაზობს მაღალი დონის, საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს; წარმოადგენს მოწინავე დაწესებულებას სამეცნიერო კვლევის განსახორციელებლად და საერთაშორისო და ადგილობრივი სიტუაციის კრიტიკული ანალიზის ჩასატარებლად; და ახალ თაობას ამზადებს მომავალი კარიერისთვის მიგრაციის სფეროში.

აღნიშნული მიზნების მიღწევის პროცესში მიგრაციის საკითხები თანმიმდევრულად აისახა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში, სწავლების სხვადასხვა დონეზე; იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსები ტრეფიკინგისა და მაგირაციის თემებზე თანმიმდევრულად ხორციელდებოდა 2006 წლიდან მოყოლებული. აგრეთვე, 2007 წლიდან ტარდება სხვადასხვა კონკურსები და კონფერენციები ტრეფიკინგის თემაზე. ასევე ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, რომელსაც უნივერსიტეტი გამოსცემს, სისტემატურად ფარავს მიგრაციის და ტრეფიკინგის საკითხებს და ამგვარად, სტუდენტებს და მკვლევარებს ეძლევათ ბრწყინვალე შესაძლებლობა, შეაფასონ მიმდინარე პროცესები, ახალი გამოწვევები და შეიმუშავონ რეკომენდაციები და, შესაბამისად, წვლილი შეიტანონ ქვეყანაში მიგრაციის პოლიტიკის განვითარებაში.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მიგრაციის სფეროში მიმდინარე ტენდენციების მზარდი განვითარება დღის წესრიგში აყენებს ამ პროცესში ჩართულ მონაწილეებს შორის, მათ შორის მთავრობასა და სამეცნიერო წრეს შორის, თანამშრომლობის საკითხს. ამ მხრივ, აქტიური და ორმხრივად სარგებლის მომტანი თანამშრომლობა შესაძლებლობას იძლევა, ახალ გამოწვევებთან მიმართებით განხორციელდეს უფრო სწრაფი და კოორდინირებული რეაგირება, მოხდეს დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღება, განისაზღვროს სამომავლო განვითარების მიმართულებები და, რაც მთავარია, გაფართოვდეს მიგრაციის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ცოდნისა და შემეცნების საზღვრები.



აღნიშნული ასპექტი აისახა ეროვნული კონფერენციის დასაწყისში დადებულ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმში", რომელსაც ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა – ვლადიმერ პაპავამ და კომისიის თავმჯდომარემ – თეა წულუკიანმა. მემორანდუმი გაფორმდა „მიგრაციის სფეროში ტრენინგებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების ზრდა საქართველოსა და მოლდოვაში (GOVAC)" პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფორმატში, და ფინანსდება ევროკავშირის მიერ.

მემორანდუმი წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით ქმნის ინსტიტუციონალიზირებული თანამშრომლობის განხორციელების საფუძველს; და რომელიც დეტალურად აღწერს თანამშრომლობის სფეროებს და, ამავდროულად, სრული პატივისცემით ეკიდება ორივე ხელშემკვრელი მხარის განსხვავებულ სამუშაო კულტურასა და ბაზისს. უფრო კონკრეტულად, მთავრობა და სამეცნიერო წრე, ესწრაფვიან რა ერთსა და იმავე საკითხისა თუ გამოწვევის გადაწყვეტას, იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს. მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, შემობიჭილია პოლიტიკური პრიორიტეტებით, სოციალური კონტექსტითა და ქვეყნის ეკონომიკური რეალობით; ხოლო უნივერსიტეტს შეუძლია მხარი დაუჭიროს, მაგრამ, ამასთან, კრიტიკული პარტნიორის როლის შესრულება, როდესაც უნივერსიტეტი აფასებს სამთავრობო პოლიტიკის შედეგებს, სწავლობს საუკეთესო გამოცდილების მაგალითებს და ამუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც მიმართულია სიტუაციის გაუმჯობესებისკენ. სწორედ ამიტომ მემორანდუმი სათანადო ყურადღებას უთმობს სამეცნიერო და კვლევითი პროექტების, მათ შორის კონფერენციებისა და სემინარების, დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელებას; და საგანმანათლებლო პროცესში ორივე მხარის აქტიურ ჩართულობას.

ზემოთქმულის ფონზე, მეორეს მხრივ, თანამშრომლობის ფორმატი ითვალისწინებს, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი სფეროები ასევე უნდა იყოს პრაქტიკული ელემენტების შემცველი, რომ უპასუხოს პრაქტიკულ გამოწვევებს, სტუდენტებს მისცეს საკითხების პრაქტიკულ ჭრილში შეფასების შესაძლებლობა, და ამგვარად მოამზადოს ისინი მათი მომავალი კარიერისთვის მიგრაციის დარგში. სწორედ ამ მიზნით ურთიერთგაგების მემორანდუმი შეიცავს დებულებებს შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში მიზნობრივი სტაჟირების გავლის თაობაზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუციას ახალი თაობის განვითარების საქმეში.

უფრო მეტიც, მემორანდუმის თანახმად, თანამშომლობა მიგრაციის სფეროში კვლევების განსახორციელებლად გამყარებულია ორმხრივი ინფორმაციის გაცვლით კვლევითი პრიორიტეტების, საჭიროებებისა და, რაც მთავარია, შედეგების შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ყველა დასახელებული ღონისძიება, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობაზე, ემსახურება ობიექტურ ინფორმაციაზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის განვითარებას ქვეყანაში.

მემორანდუმის ხელმოწერის გარდა, ეროვნულ კონფერენციაზე განხილულ იქნა მიგრაციისა და ტრეფიკინგის საკითხები სხვადახვა კონტექსტში: მოეწყო დისკუსია და წარმოდგენილ იქნა ამ საკითხების ანალიზი როგორც წმინდა სამართლებრივ ჭრილში, ასევე შეფასდა მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განზომილებები; ერთდროულად მოეწყო როგორც თეორიული და განმარტებითი ასპექტების, ასევე პრაქტიკული სირთულეებისა და გამოწვევების განხილვა; წარმოდგენილ იქნა როგორც ქართული რეალობის, ასევე სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებების კვლევა, შედარებითი ანალიზის ფონზე; განხილულ იქნა აღნიშნულ პროცესებში სხვადასხვა მონაწილის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების როლი, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განხილულ იქნა თანამედროვე გამოწვევები (მაგალითად, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2013 წლის მოხსენება), ან უბრალოდ საინტერესო თემები (მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების როლი ახალი მიგრაციული ნაკადების წარმოქმნასთან მიმართებით).

კონფერენციაზე განხილული ნაშრომების მთავარი თემატიკა იყო: მიგრაცია და განვითარება, გენდერი და მიგრაცია, არარეგულირებადი მიგრაცია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლი მიგრაციის მართვაში, იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები და მათი სამართლებრივი სტატუსი, ტრეფიკინგის სამართლებრივი რეგულირება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამიჯვნა სხვა დანაშაულებისგან, ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტები ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ტრეფიკინგის არასრულწლოვან მსხვერპლთან მოპყრობის თავისებურებანი, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმები, პერსონალური მონაცემების დაცვა მიგრაციისა და ტრეფიკინგის ჭრილში.

საერთო ჯამში, ეროვნულ კონფერენციაში ჩართული იყო 28 მონაწილე, მათგან 60% იყო იურიდიული ფაკულტეტის და 40% – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი, ამ გარემოებამ კონფერენციას შესძინა მულტიდისციპლინური განზომილება. აგრეთვე, კონფერენცია გამოირჩეოდა მონაწილეთა ფართო სპექტრით, მასში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსის სტუდენტმა, როგორც კურსდამთავრებულებმა; ასევე – სამივე სასწავლო პროგრამის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებმა. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ კონფერენციაში ჩართული იყო სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელიც, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული კონფერენციის მასშტაბი გასცდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებს.

ეროვნული კონფერენციის დასასრულს, ყველა მონაწილე დაჯილდოვდა მონაწილეობის სერტიფიკატით, ხუთი მათგანი არჩეულ იქნა საუკეთესო ნამუშევრების ავტორებად, ხოლო ცხრა მომხსენებელი დაჯილდოვდა სერტიფიკატით „თემის სიღრმისეული კვლევისა და საუკეთესო წარდგენისათვის". ამასთან, ყველა მონაწილემ საჩუქრად მიიღო მიგრაციისა და ტრეფიკინგის თემატიკასთან დაკავშირებული წიგნები.

დასასრულს, ეროვნულ კონფერენციაზე გამოითქვა იმედი, რომ გაგრძელდება ამგვარი სამეცნიერო და კვლევითი პროექტები ახალი თაობის ჩართულობით, განსაკუთრებით ზემოაღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფორმატში, და მთავრობასა და სამეცნიერო წრეს შორის თანამშრომლობა იქნება მეტად მხარდაჭერილი და წახალისებული.

# თვითმმართველობის არჩევნები

16 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები დასრულდა. თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ცესკო-ს შემაჯამებელი ოქმის მონაცემებით 141 კანდიდადიტან აირჩიეს 120 დელეგატი. ცესკო-ს თავმჯდომარის დემეტრე ეგნატაშვილის განცხადებით, „თსუ 20 ათასი სტუდენტიდან არჩევნებში 5 ათასზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩევლის 25 პროცენტია. თვითმმართველობის არჩევნების დებულების თანახმად, არჩევნები შემდგარად ითვლება, თუ კენჭისყრაში ამომრჩეველთა 10 პროცენტი მიიღებს მონაწილეობას. არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ შემოსულა. საარჩევნო პროცესს 4 არასამთავრობო ორგანიზაცია და რამდენიმე დამოუკიდებელი დამკვირვებელი აკვირდებოდა".

ცესკო-ს თავმჯდომარის ინფორმაციით, თვითმმართველობის პრეზიდენტი 120-მა დელეგატმა უნდა დაასახელოს. დელეგატები ასევე ირჩევენ ცენტრალურ წარმომადგენლობით ორგანოს, ქმნიან ორ კომისიას, რომელიც იმუშავებს თვითმმართველობის წესდების და თვითმმართველობის არჩევნების დებულების ახალ რედაქციებზე. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 2 წელიწადში ერთხელ ტარდება.



# სიახლეები

***ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია***

15 მაისს თსუ ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა (ხელმძღვანელი: პროფესორი ვასილ კაჭარავა) გამართა ამერიკისმცოდნეობის მეთხუთმეტე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „შეერთებული შტატების პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში“.

ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, თსუ პროფესორები, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები, ძირითადად, აშშ-ის, ასევე, ლათინური ამერიკისა და კანადის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, რელიგიის, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის, ამერიკაში ქართული იმიგრაციისა და სხვ. საკითხებზე. კონფერენციის მიზანია ამერიკისმცოდნეობის პროფესიულ დონეზე შესწავლის შედეგების წარმოჩენა და მიღებული ცოდნის გავრცელება საქართველოს საზოგადოების აკადემიურ და ფართო წრეებში, ასევე ქართველ ამერკისმცოდნეთა მუშაობის კოორდინირება და მათი კონტაქტების გაღრმავება ამერიკელ და ევროპელ კოლეგებთან.

***მარიამ (მაშო) ჯამბაკურ-ორბელიანის პირადი ნივთების გამოფენა თსუ-ში***

14 მაისს სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის მარიამ (მაშო) ჯამბაკურ-ორბელიანის პირადი ნივთების გამოფენა გაიმართა.
ღონისძიების ორგანიზატორი თსუ უნივერსიტეტის მუზეუმი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი.

***მემორანდუმი ამერიკის მეგობართა ახალგაზრდულ კლუბსა და თსუ-ს შორის***

14 მაისს თსუ-სა და ამერიკის მეგობართა ახალგაზრდულ კლუბს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და კლუბის პრეზიდენტმა ლევან კოპალიანმა მემორანდუმის თანახმად, ერთობლივი პროექტები და საჯარო ლექციები ჩატარდება. ამერიკის მეგობართა ახალგაზრდული კლუბი თსუ-ს ამერიკისმცდონეობის სტუდენტების მიერ ორი წლის წინ დააფუძნდა.

***ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრების ვიზიტი თსუ-ში***

14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია ეწვია. ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა პალატის მეცნიერების, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ირჟი ზლატუშკა და კომიტეტის წევრები თსუ რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრას საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი ტომაშ პერნიცკი დაესწრო. შეხვედრაზე ჩეხმა დეპუტატებმა თსუ რექტორსა და სტუდენტებს ჩეხეთში განათლებაში, კერძოდ, უმაღლეს განათლებაში მიმდინარე პროცესები, არსებულ პრობლემები და მათი გადაჭრის გზები გააცნეს. ჩეხი სტუმრები საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, თსუ სტუდენტთა ჩართულობას ევროპულ უნივერსიტეტებთან არსებულ გაცვლით პროგრამებში გაეცნენ.

***ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია***

13 მაისს თსუ-ში სამეცნიერო ჯგუფის (GDRI) – „სამხრეთ კავკასიის გეოლოგიური მეცნიერებები“- ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრი უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ჟენევიევ ფიორასო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი რადიკ მარტიროსიანი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოადგილე თინათინ ბოჭორიშვილი. სამეცნიერო ჯგუფი 2010 წელს ფრანგი და სამხრეთ კავკასიელი მეცნიერების მიერ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ფარგლებში წამოჭრილი პრობლემატური საკითხების გასაანალიზებლად შეიქმნა.

პირველი პროექტი 2010-2014 წლებში განხორციელდა, რამაც პროექტის პარტნიორებს შორის მჭიდრო სამეცნიერო-კვლევით ურთიერთობას ჩაუყარა საფუძველი. პროექტის პარტნიორები არიან: ნიცა-სოფია ანტიპოლისის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ლილის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ივანე ჯავახიშვილს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), სომხეთის გეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (სომხეთი), სომხეთის დედამიწის სეისმოლოგიური და ფიზიკური ასოციაცია (სომხეთი) და სხვა.

***სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიში***

7-8 მაისს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სტუდენტთა და პროფესორთა სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიშით წარსდგა. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, სტუდენტები, პროფესორები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ღონისძიებაზე ოცზე მეტი საველე-სასწავლო კვლევა-ძიების ანგარიშთან ერთად, ექსპედიციების ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო. ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი იყო ექსპედიციების დროს აღმოჩენილი უნიკალური არტეფაქტები. მათ შორის ხუდონჰესის დატბორვის ზონაში აღმოჩენილი ძვ.წ. VII-VI სს. საკულტო-რელიგიური კომპლექსი, რომელიც უნიკალური და უმნიშვნელოვანესია მთელი წინარეანტიკური ეპოქის არქეოლოგიისთვის.

# „თაობა-L“ – ახალი პროექტი სტუდენტებისთვის



5 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემეცნებითი კონკურსის „თაობა L“-ის გამარჯვებულის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ჯილდოს შერჩევა ფინალისტს გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ პრიზებიდან თავისი შეხედულებისამებრ შეეძლო: 1000 ლარი ან წიგნის თარო 100 წიგნით, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ.

რადგან „პალიტრა L“ -ის მიერ საპრიზოდ გამზადებული წიგნების უმეტესობა უკვე შეძენილი ჰქონდა, კონკურსის გამარჯვებულმა, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტმა ანანო ასპანიძემ თანხა აირჩა. ამ თანხით იგი ახალი წიგნების შეძენას გეგმავს.

კონკურსში მონაწილეობა ანანომ კითხვის სიყვარულის გამო გადაწყვიტა. მხატვრული ლიტერატურის ცოდნით პროექტის კონსულტანტ ლევან ბერძენიშვილზეც მოახდინა შთაბეჭდილება. ლევან ბერძენიშვილი ამბობს, რომ ქართული საზოგადოება ანანო ასპანიძის სახელს მალე გაიგებს.

შემეცნებითი პროექტი უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტისათვის 10 მარტს დაიწყო და ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მისი მონაწილეები, 4-5 დღის ინტერვალით, პროექტისათვის შერჩეულ წიგნებს კითხულობდნენ და შემდეგ მათთვის მომზადებულ ტესტებზე სცემდნენ პასუხს. საამისოდ მათთვის 10 წიგნი შეირჩა: ფრანსუაზ საგანი – „გიყვართ ბრამსი?“ „სალამი, სევდავ!“, ჰომეროსი – „ოდისეა“, რიუნოსკე აკუტაგავა – „მოთხრობები“, ჯონ სტაინბეკი – „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“, ჩარლზ დიკენსი – „დევიდ კოპერფილდი“, ონორე დე ბალზაკი – „შაგრენის ტყავი“, მიხაილ ბულგაკოვი – „ოსტატი და მარგარიტა“, ჰაინრიხ ბიოლი – „კლოუნის თვალთახედვა“, გაბრიელ გარსია მარკესი – „მარტოობის ასი წელიწადი“, ალფრედ დობლინი – „ბერლინი, ალექსანდერპლაცი“.

პროექტის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს თორნიკე აბაშიძეს და ლაშა ცაბაძეს ეკუთვნით. პროექტი თსუ-მ და გამომცემლობა პალიტრა L-მა ერთობლივად გახორციელეს. „თაობა L“-ის მიზანი ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის გაცნობა გახლდათ და იგი მომავალშიც გაგრძელდება. წელს კონკურსში მონაწილეობა სულ სახელმწიფო უნივერსიტეტის 400-მდე სტუდენტმა მიიღო. გამარჯვებული კი საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ათეულიდან შეირჩა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გამომცემლობის სპეციალური პრიზები პროექტის ყველა ფინალისტს გადაეცა. სამახსოვრო საჩუქრებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდა პროექტის თითოეულ ეტაპზე გამოვლენილი ტურის ლიდერიც.

# 20 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო – თსუ ათლეტიზმის გუნდისგან





3-4 მაისს უკრაინაში ქალაქ კიევში გაიმართა ევროპის ღია ჩემპიონატი პოწერ ლიფტინგ- ში (ათლეტიზმი), სადაც 35 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. საქართველოდან სპორტსმენები წარმოდგენილი იყვნენ თსუ-ს სახელით, რომლებაც წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს 20 ოქროს 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. კახაბერ თეთრაძემ, რომელიც მონაწილეობდა 67,5 კგ. წონით კატეგორიაში, 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა: წოლჭიმში აწია 130 კგ.; ამოწევაში – 160 კგ. და ორჭიდში 290 კგ. ასევე ზურაბ თავართქილაძემ (100 კგ. წონითი კატეგორია) დაამყარა 3 მსოფლიო რეკორდი: წოლჭიმში 170 კგ. ამოწევაში – 300 კგ. ორჭიდში 470 კგ.

# თსუ-ს ფუტსალის სტუდენტურმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა

19 მაისს სპორტული კომპლექსი არენა 2-ის სპორტდარბაზში გაიმართა ფუტსალის სტუდენტური ლიგის ფინალური შეხვედრა, სადაც 2013 წლის გამარჯვებული თსუ-ს გუნდი შეხვდა სტუ-ს გუნდს. მატჩი პირველი წუთებიდანვე დაძაბულ რეჟიმში წარიმართა და დასრულდა ანგარიშით 2:1 სტუ-ს გუნდის სასარგებლოდ. თსუ-ს ფუტსალის სტუდენტურმა გუნდმა ფუტსალის სტუდენტურ ლიგაში მეორე ადგილი დაიკავა.

# სტუდენტური დღეები – 2014

1 მაისს ჩატარდა “სტუდენტური დღეები 2014 – თსუ-ის” საკონკურსო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებიდან. გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო სოლო შესრულება – ნინო სუხიტაშვილი, საუკეთესო დუეტი – ხვიჩა კვარაცხელია და ანა მორგოშია, საუკეთესო საცეკვაო ნომერი – თშ ჩღ ჭ.

2 მაისს თსუ-ის სააქტო დარბაზში შედგა “სტუდენტური დღეები 2014-ის” ცეკვის ტური, რომელშიც სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან20-მდე ჯგუფი მონაწილეობდა. თსუ ქორეოგრაფიული ანსამბლი “უნივერსიტეტი” და თანამედროვე ცეკვის ჯგუფი “თშ - ჩღ ჭ” შემდეგ ტურში გადავიდნენ და თსუ-ის სახელს გურჯაანის კულტურის სახლში დაიცვეს 20 მაისს. ცეკვის ჯგუფმა “თშ ჩღ ჭ” მოიპოვა გამარჯვება ნომინაციაში „საუკეთესო თანამედროვე ცეკვის ქორეოგრაფიული დადგმა“.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge